Civil.ge
Daily News Online

არასამთავრობოები გარემოს დაცვის სამინისტროს მოსალოდნელ შეკვეცას აკრიტიკებენ

სივილ ჯორჯია, თბილისი / 14 Feb.'11 / 18:22

ერთობლივ განცხადებაში, 29 არასამთავრობო ორგანიზაციამ, მათ შორის სულ ცოტა ექვსმა გარემოსდამცველმა ორგანიზაციამ, მოუწოდა მთავრობას არ წარუდგინოს პარლამენტს ინიციატივა გარემოს დაცვის სამინისტროს დაგეგმილი სტრუქტურული რეორგანიზაციის თაობაზე და ამ საკითხზე ფართო საჯარო განხილვა გამართოს.

დაგეგმილი სტრუქტურული რეორგანიზაციის შედეგად, როგორც პრემიერ–მინისტრმა ნიკა გილაურმა 8 თებერვალს განაცხადა, გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს ჩამოერთმევა ბუნებრივ რესურსებთან დაკავშირებული ფუნქციები და გადაეცემა ენერგეტიკის სამინისტროს, რომელსაც შედეგად ენერგეტიკის და ბუნებრივი რესურსების სამინისტრო დაერქმევა.

გილაურის თქმით, გარემოს დაცვის სამინისტროს, რომელიც შესაძლოა სახელმწიფო მინისტრის აპარატად ჩამოყალიბდეს, "დარჩება მხოლოდ გარემოს დაცვისა და ეკოლოგიური საკითხები" იმ გამონაკლისით, რომ დაცული ტერიტორიების სააგენტო ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს დაქვემდებარებაში გადავა. ამასთან ბუნებრივი რესურსების ლიცენზირებასთან და აუქციონის მოწყობასთან დაკავშირებული ფუნქციები, რომელიც ამჟამად ეკონომიკის სამინისტროს კომპეტენციაში შედის, ენერგეტიკის სამინისტროს გადაეცემა.

გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს რეორგანიზაციის გეგმის წარმოდგენა მთავრობას პრეზიდენტმა სააკაშვილმა დეკემბერში დაავალა მას შემდეგ, რაც მკაცრად გააკრიტიკა სამინისტროში, კერძოდ კი სატყეო დეპარტამენტში არსებული "სისტემური კორუფცია".

"სამწუხაროდ, დაინტერესებული საზოგადოებისთვის უცნობია, რა არის მთავრობის მიერ გახმოვანებული ცვლილებების რეალური მიზეზი – პრეზიდენტის მიერ დასახელებული ხარვეზების აღმოფხვრის სურვილი, თუ ბოლო წლებში არსებული ტენდენციის გაგრძელება, რომელიც მიმართულია გარემოსდაცვითი მოთხოვნების კიდევ უფრო უგულებელყოფისაკენ," – ნათქვამია არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ 14 თებერვალს გავრცელებულ ერთობლივ განცხადებაში.

"არსებობს საშიშროება, რომ დაცული ტერიტორიების სააგენტოს ეკონომიკის სამინისტროსადმი დაქვემდებარებით შეილახება დაცული ტერტორიების ძირითადი ფუნქცია – ბიომრავალფეროვნების და ეკოსისტემების კონსერვაცია, დაცვა და შენარჩუნება. მთავრობის წევრთა განცხადება ტოვებს შთაბეჭდილებას, რომ მათ დაცული ტერიტორიები მხოლოდ ტურიზმის განვითარების ერთ–ერთ საშუალებად მიაჩნიათ. ჩვენთვის სრულიად მიუღებელია გავრცელებული განცხადება იმის თაობაზე, რომ რეფორმის შედეგად გარემოს დაცვის სამინისტროს მხოლოდ "წმინდა გარემოსდაცვითი ფუნქციები დარჩება" - ვინაიდან ეს ფორმულირება შეიძლება გაგებული იყოს ისე, თითქოს დაცული ტერიტორიების მართვა და ტყეების დაცვა გარემოს დაცვის ღონისძიებებს არ წარმოადგენენ," – ნათქვამია განცხადებაში.

მასში ასევე ნათქვამია, რომ დაგეგმილი რეფორმის შემდეგ „არსებობს საშიშროება, რომ საქართველოს ტყეები განხილული იქნება, როგორც მხოლოდ ეკონომიკური რესურსი და უგულვებელყოფილი იქნება მათი ეკოლოგიური და სოციალური ფუნქცია".

1998 წლის არჰუსის კონვენციაზე დაყრდნობით, რომელიც საზოგადოებას გარემოს დაცვის საკითხებზე გადაწყვეტილების მიღების პროცესში ჩართვის უფლებას ანიჭებს, განცხადება მოუწოდებს ხელისუფლებას უზრუნველყოს საზოგადოების ფართო მონაწილეობა იმ ეტაპზე, სანამ საბოლოო გადაწყვეტილება იქნება მიღებული.

განცხადების თანახმად, გარემოსდაცვითი თვალსაზრისით მნიშვნელოვანი გადაწყვეტილების "გაუმჭვირვალე პრაქტიკა, გარემოსდაცვითი სექტორისადმი ასეთი უპასუხისმგებლო დამოკიდებულება არ შეეფერება ქვეყანას, რომელიც ისწრაფვის ევრო–ატლანტიკურ სივრცეში ინტეგრაციისაკენ."

10 თებერვალს გამოქვეყნებულ განცხადებაში ბუნების დაცვის მსოფლიო ფონდის (WWF) კავკასიის ოფისმა განაცხადა, რომ გარემოს დაცვის სამინისტროდან სატყეო დეპარტამენტის განცალკევება, ასევე დაცული ტერიტორიების სააგენტოს გადაცემა ეკონომიკის სამინისტროსთვის შეშფოთებას იწვევს და შესაძლოა „უკიდურესად უარყოფითი შედეგები" მოყვეს. ამავე განცხადების თანახმად, "არალოგიკურია, ასევე, დაცული ტერიტორიების სააგენტოს, რომელიც წარმატებულად ფუნქციონირებს და ვითარდება, ეკონომიკის და მდგრადი განვითარების სამინისტროში ინტეგრირება".